

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტი მომზადებულია საქართველოს კონსტიტუციის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და განსაზღვრავს 2026 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს მთავრობის მიერ მომზადება და საქართველოს პარლამენტის მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 38-ე მუხლის შესაბამისად, 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

პანდემიის შემდგომ პერიოდში საქართველოს ეკონომიკაში პროგნოზირებულთან შედარებით გაცილებით მაღალი ეკონომიკური ტენდენციები იყო. როგორც 2021 წელს, ასევე 2022 წელს ეკონომიკური პარამეტრები ზრდის მიმართულებით დაკორექტირდა და ორივე წელს რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ ორნიშნა მაჩვენებელს მიაღწია. ე.წ. პოტენციურ ზრდასთან შედარებით რეალური ეკონომიკური ზრდის ტემპები მაღალი იყო 2023-2024 წლებშიც, რის შედეგადაც 2021-2024 წლებში რეალურმა ეკონომიკურმა საშუალო წლიურმა ზრდამ 9,4% შეადგინა. რაც შეეხება 4 წლის ჯამურ მაჩვენებელს, 2020 წელთან შედარებით ეკონომიკის რეალური ზრდის მაჩვენებელმა 45%-ს, ხოლო ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 85%-ს მიაღწია და 2024 წელს 91 მილიარდ 891 მილიონ ლარს გადააჭარბა.

განვლილ პერიოდში მაღალი ეკონომიკური ზრდა დიდწილად ექსპორტისა და ინვესტიციების ზრდასთან იყო დაკავშირებული, კერძოდ:

- ინვესტიციების მოცულობა 2020 წელს არსებული 12,3 მილიარდი ლარიდან 21 მილიარდ ლარამდე გაიზარდა, მათ შორის კერძო ინვესტიციების ზრდამ 65%-ს გადააჭარბა და 13,3 მილიარდი ლარი შეადგინა;

- ექსპორტის მაჩვენებელი გაიზარდა 140%-ზე მეტად, მათ შორის მომსახურების ექსპორტის მაჩვენებელი 4-ჯერ გაიზარდა. პანდემიის ეფექტის გამოკლებით, 2019 წელთან შედარებით ექსპორტის ზრდამ 65%-ს გადააჭარბა.

მაღალმა ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა შესაძლებელი გახადა უმოკლეს ვადებში განხორციელებულიყო მნიშვნელოვანი ფისკალური კონსოლიდაცია და შედეგად შემცირებულიყო მთავრობის ვალის მაჩვენებელი, კერძოდ, 2020 წელს პანდემიის შედეგად მშპ-ს 9,2%-მდე გაზრდილი ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი, 2022 წლის ბოლოსთვის დაუბრუნდა კანონით განსაზღვრულ 3%-იან მაჩვენებელს, ხოლო 2023 წლიდან მისი მაჩვენებელი მშპ-ს 2,5%-ის დონეზეა (ნომინალურ გამოხატულებაში დეფიციტი შემცირდა 2 მილიარდ 400 მილიონ ლარზე მეტით). მთავრობის ვალის მოცულობა 2020 წლის 60%-დან 2022 წელს ჩამოვიდა უსაფრთხო, მშპ-ს 40%-იან მაჩვენებელზე დაბლა და მას შემდგომ გრძელდება მისი შემცირების კლებადი დინამიკა. 2024 წლის ბოლოსთვის მისმა თანაფარდობამ მთლიან შიდა პროდუქტთან 35,7% შეადგინა.

დაგეგმილთან შედარებით მაღალი ეკონომიკური ტენდენციებია 2025 წელსაც. რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ პირველ კვარტალში 9,8%, მეორე კვარტალში 7,3%, ხოლო მესამე კვარტალში 6,5% შეადგინა. ჯამში პირველ 9 თვეში რეალური ეკონომიკური ზრდის წინასწარმა მაჩვენებელმა 7,7% შეადგინა.

მსგავსი ფისკალური კონსოლიდაციის მიუხედავად, 2021 წელთან შედარებით 2025 წელს ნაერთი ბიუჯეტის მოცულობა გაზრდილია 9 მილიარდ ლარზე მეტით, მათ შორის:

- მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერისა და ჯანდაცვის პროგრამებზე მიმართული თანხები 2021 წელთან შედარებით გაზრდილია 3 მილიარდ 500 მილიონ ლარზე მეტით (ჯამურად გაზრდილი ბიუჯეტის 38%) და 2025 წლისთვის ხარჯის მაჩვენებელი 8 მილიარდ 500 მილიონ ლარს აჭარბებს (ხარჯის მოცულობა გაზრდილია 70%-ით, ხოლო ამავე პერიოდში ეკონომიკის ნომინალური მაჩვენებელი გაზრდილია 67%-ით). გაზრდილი დაფინანსების პირობებში შესაძლებელი გახდა პენსიების და სხვა სოციალური გასაცემლების მნიშვნელოვანი ზრდა, კერძოდ:
 - ✓ 70 წლამდე პენსიონერთა პენსიის მატებამ 110 ლარი, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში 132 ლარი შეადგინა;
 - ✓ 70 და მაღალი ასაკის პირთა პენსიის მატებამ 175 ლარი, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში 210 ლარი შეადგინა;
 - ✓ დაფინანსდა 85 ათასზე მეტით გაზრდილი ბენეფიციართა რაოდენობა;
 - ✓ 40%-ზე მეტად გაიზარდა ყოფილი ჯარისკაცებისა და პოლიციელების კომპენსაციები, ხოლო კომპენსაციის ზედა ზღვარი 560 ლარიდან გაიზარდა 1035 ლარამდე;
 - ✓ პენსიების ზრდის შესაბამისად გაიზარდა სხვადასხვა კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური გასაცემლები;
 - ✓ დახმარების მიმღებ 16 წლამდე ბავშვთა სოციალური სარეიტინგო ქულა 100 ათასიდან გაიზარდა 120 ათასამდე, ხოლო უშუალოდ ბავშვის ყოველთვიური დახმარების მოცულობა გაოთხმაგდა და თვეში 200 ლარს შეადგენს;
 - ✓ ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება (კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული ხარჯების გარეშე) გაზრდილია 600 მილიონ ლარზე მეტით.
- თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით დაფინანსება გაიზარდა 1.8 მილიარდ ლარამდე (ჯამურად გაზრდილი ბიუჯეტის 20%) და ჯამში 2024 წლისთვის 4.2 მილიარდ ლარს აღწევს. გაზრდილი დაფინანსებით შესაძლებელი გახდა ჯარისკაცებისა და პოლიციელების ხელფასების ზრდა, რომელმაც ბოლო 4 წლიან პერიოდში 60%-ს მიაღწია;

- გარდა ჯარისკაცებისა და პოლიციელებისა, 2021 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, მთლიანად საჯარო სექტორში დასაქმებულთათვის დაიწყო ხელფასების მოწესრიგება. ბოლო 4 წლიან პერიოდში საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასი 46%-ზე მეტით გაიზარდა;
- განათლების და მეცნიერების მიმართულებით (საბავშვო ბაღების დაფინანსების ჩათვლით) დაფინანსება გაზრდილია 2 მილიარდ ლარზე მეტით (ჯამურად გაზრდილი ბიუჯეტის 22%) და 2025 წელს ამ სფეროს დაფინანსება 4 მილიარდ ლარს გადააჭარბებს (ზრდა 100%-ზე მეტით). გაზრდილი დაფინანსების ფარგლებში შესაძლებელი გახდა საჯარო სკოლების მასწავლებელთა საშუალო ხელფასის ზრდა 700-800 ლარის ფარგლებში, ხოლო საბავშვო ბაღების პერსონალის საშუალო ხელფასის 400-500 ლარით ზრდა;
- გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება. 2025 წელს კაპიტალური ხარჯებისთვის გამოყოფილი თანხა 8 მილიარდ ლარს აჭარბებს, რაც 2021 წელთან შედარებით გაზრდილია 66%-ზე მეტით (3,2 მილიარდ ლარზე მეტით).

ისევე როგორც წინა წლებში, 2026 წლის ბიუჯეტიც ამ ეტაპზე დაგეგმილია კონსერვატიული მიდგომით და გათვალისწინებულია შემდეგი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

- რეალური ეკონომიკური ზრდა დაგეგმილია 5,0%-ის ოდენობით, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5,3%-ს შეადგენს;
- მშპ-ის დეფლატორის პროგნოზი 4,1%-ს შეადგენს, ხოლო მომდევნო წლებში აღნიშნული მაჩვენებელი 3,0%-ია;
- საშუალო ინფლაციის პროგნოზი 2026 წელს 3,3%-ს შეადგენს, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში მიზნობრივი მაჩვენებლის ფარგლებშია (3%);
- ნომინალური მშპ-ის პროგნოზი განსაზღვრულია 114,1 მლრდ ლარის ოდენობით, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტი 11 300 დოლარს აჭარბებს. 2029 წლისთვის პროგნოზირებულია ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 145,5 მლრდ ლარამდე, რაც ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 14 500 დოლარს გადააჭარბებს. პროექტის წინა ვერსიისგან განსხვავებით 2026 წლისთვის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზი გაზრდილია 3,6 მლრდ ლარით, რაც გამოწვეულია სტატისტიკის სამსახურის მიერ 2024 წლის ნომინალური შიდა პროდუქტის ფაქტიური მონაცემების დაზუსტებით და 2025 წლის რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზის 6 პროცენტთან 7,2 პროცენტამდე ზრდით;
- ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განისაზღვრება 27,04 მლრდ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ს 23,7%-ია. პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი გაზრდილია 240,0 მლნ ლარით;
- ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენს მშპ-ს 2,5%-ს, ხოლო მთავრობის ვალის მაჩვენებელი მშპ-ს 33,5%-ის ფარგლებშია.

ზემოაღნიშნული მაჩვენებლების ფარგლებში 2026 წლის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ჯამურად შეადგენს 36,3 მლრდ ლარს, რომლის ფარგლებშიც სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებები.

2026 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს :

➤ სოციალური მიმართულებით

ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამების დასაფინანსებლად სამინისტროს დაფინანსება გაზრდილია 840,0 მლნ ლარზე მეტით, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერთა პენსია იზრდება 45 ლარით და განისაზღვრება 495 ლარის ოდენობით. ამავე კატეგორიის პენსიონერთა პენსია მაღალმთიან დასახლებებში თითქმის 594 ლარს გაუტოლდება;
- 70 წლამდე პირთა პენსია იზრდება 20 ლარით და განისაზღვრება 370 ლარის ოდენობით, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში 444 ლარი იქნება;
- გარდა პენსიისა, გათვალისწინებულია მკვეთრად გამოხატული და 18 წლამდე შშმ პირების სოციალური გასაცემლის ზრდა 45 ლარით, ხოლო დანარჩენი კატეგორიის შშმ პირთა გასაცემლის ზრდა 20 ლარით;
- ჯამში სოციალური პროგრამების დაფინანსება 6,9 მილიარდ ლარს აჭარბებს;
- ჯანდაცვის პროგრამების დასაფინანსებლად გამოყოფილია 2,2 მილიარდ ლარზე მეტი, მათ შორის გათვალისწინებულია პირველადი ჯანდაცვის პერსონალის ხელფასების 10%-იანი ზრდა;
- დევნილთა სახლებით უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია 240,0 მლნ ლარი.

➤ განათლების მიმართულებით

განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით გამოყოფილია 4,1 მლრდ ლარამდე, რომლის ფარგლებშიც:

- საჯარო სკოლების დაფინანსებაზე მიიმართება 1,7 მლრდ ლარზე მეტი (ინკლუზიური განათლების დაფინანსების ჩათვლით);
- საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის გამოყოფილია 420,0 მლნ ლარზე მეტი;
- საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე მიიმართება 130,0 მლნ ლარი.

➤ კულტურისა და სპორტის დაფინანსებაზე ნაერთი ბიუჯეტიდან მიიმართება 1,1 მლრდ ლარზე მეტი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში გათვალისწინებულია 690,0 მლნ ლარამდე.

➤ თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით :

- თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უსაფრთხოების სამსახურის დასაფინანსებლად გამოყოფილია 3,8 მლრდ ლარზე მეტი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება პოლიციელებისა და ჯარისკაცების ხელფასების 10%-იანი ზრდა;
- თავდაცვის ინფრასტრუქტურისა და შესაძლებლობების განვითარებისათვის გათვალისწინებულია 495,0 მლნ ლარი.

➤ ინფრასტრუქტურა

ჯამში, ნაერთი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიიმართება 8,0 მილიარდ ლარზე მეტი, მათ შორის:

- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე მიიმართება 1,3 მილიარდ ლარამდე, მათ შორის ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობას მოხმარდება 755,0 მლნ ლარი;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის გათვალისწინებულია 3,3 მილიარდ ლარზე მეტი;
- წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის გაუმჯობესებაზე მიიმართება 600,0 მლნ ლარზე მეტი;
- საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაზე მიიმართება 900,0 მლნ ლარზე მეტი;

- ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე გათვალისწინებულია 150,0 მლნ ლარი;
 - სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 200,0 მლნ ლარზე მეტი.
- მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით 2026 წელს გათვალისწინებულია 270,0 მლნ ლარზე მეტი.
 - სოფლის მეურნეობის პროგრამების დაფინანსებისთვის გათვალისწინებულია 640,0 მლნ ლარზე მეტი.
 - გარემოს დაცვის პროგრამების დაფინანსებისთვის გამოყოფილია 200,0 მლნ ლარამდე.
 - საჯარო მოხელეთა ანაზღაურება
საჯარო მოხელეთა ანაზღაურების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად 2026 წელს გათვალისწინებულია საჯარო მოხელეთა ანაზღაურების 10%-იანი ზრდა.

ნაერთი ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

2026 წლის განახლებული პროგნოზით ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 27 040,0 მლნ ლარს შეადგენს, რაც პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 240,0 მლნ ლარით.

2026 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 9 050,0 მლნ ლარით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის წილი შეადგენს 8 221,0 მლნ ლარს (წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 51,0 მლნ ლარით), ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების წილი 829,0 მლნ ლარს (გაზრდილია 29,0 მლნ ლარით);
- მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 200,0 მლნ ლარით, რაც პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 50,0 მლნ ლარით;
- დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 10 930,0 მლნ ლარით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის წილი შეადგენს 8 744,0 მლნ ლარს (გაზრდილია 64,0 მლნ ლარით), ხოლო მუნიციპალიტეტების წილი - 2 186,0 მლნ ლარს (გაზრდილია 16,0 მლნ ლარით);
- აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 700,0 მლნ ლარის ოდენობით (უცვლელია წინა პროექტთან შედარებით);
- იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 150,0 მლნ ლარით (უცვლელია პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით);
- ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 825,0 მლნ ლარს, რაც პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 25,0 მლნ ლარით;
- სხვა გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 185,0 მლნ ლარით.

ნაერთი ბიუჯეტის პრივატიზაციის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს **350,0 მლნ ლარს**.

ბიუჯეტის დეფიციტი და მთავრობის ვალი

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის გათვალისწინებით, იმავე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ზღვრული პარამეტრების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- 2026 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო განისაზღვრება 2 893,9 მლნ ლარით, რაც პროგნოზირებული მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 2.5%-ს შეადგენს (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 3%);
- 2026 წლის ბოლოსთვის საქართველოს მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა განისაზღვრება მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 33.5%-ით (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 60%), მათ შორის, გათვალისწინებულია საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულება (2026 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინასწარი მონაცემებით), რაც არ ახდენს გავლენას მთავრობის ვალის ზღვრულ მოცულობაზე მშპ-სთან მიმართებაში.

რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამით გაანგარიშებულ ნაერთი ბიუჯეტის მოდიფიცირებულ დეფიციტს, მისი მოცულობა 2 853,9 მლნ ლარია და მშპ-ს 2,5%-ს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ჯამური მაჩვენებელი, პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 468,6 მლნ ლარით და განისაზღვრება 30 759,4 მლნ ლარის ოდენობით. მათ შორის:

- **შემოსავლები - 24 996,3 მლნ ლარი** (პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 397,3 მლნ ლარით), მათ შორის:
 - **საგადასახადო შემოსავლები** ს პროგნოზი გაზრდილია 170,0 მლნ ლარით და შეადგენს 23 200,0 მლნ ლარს;
 - **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებელი გაზრდილია 127,3 მლნ ლარით და განისაზღვრება 346,3 მლნ ლარის ოდენობით;
 - **სხვა შემოსავლების** პროგნოზი თავდაპირველ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 100,0 მლნ ლარით და განისაზღვრება 1 450,0 მლნ ლარის ოდენობით.
- **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა უცვლელია და შეადგენს 200,0 მლნ ლარს.
- **ფინანსური აქტივების კლების** (სესხების დაბრუნება) მაჩვენებელი გაიზარდა 220,0 მლნ ლარით (დაემატა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის და საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიერ გადასახდელი თანხები) და განისაზღვრა 500,0 მლნ ლარის ოდენობით.

- **ვალდებულებების ზრდის** სახით მისაღები სახსრები განისაზღვრა 5 063,1 მლნ ლარის ოდენობით მათ შორის:
 - საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მისაღები სახსრები შეადგენს 1 800,0 მლნ ლარს (უცვლელია წინა პროექტთან შედარებით);
 - საინვესტიციო კრედიტების მაჩვენებელი შეადგენს 1 273,1 მლნ ლარს (შემცირებულია 148,7 მლნ ლარით);
 - საბიუჯეტო დახმარების სახით მისაღები კრედიტების მაჩვენებელი შეადგენს 640,0 მლნ ლარს (გაზრდილია 20,0 მლნ ლარით);
 - ამასთან, 2026 წელს გათვალისწინებულია 2021 წელს გამოშვებული ევროობლიგაციების რეფინანსირება, რისთვისაც ვალდებულებების ზრდაში გათვალისწინებულია 1 350,0 მლნ ლარი (ამავე მიზნებისთვის იგივე თანხა გათვალისწინებულია ვალდებულებების კლების ნაწილში).

ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 2 915,0 მლნ ლარის ოდენობით (მათ შორის, ევროობლიგაციები 1 350,0 მლნ ლარი), შესაბამისად ვალდებულებების წმინდა ზრდა 2 148,1 მლნ ლარს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები)

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობა, პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 405,5 მლნ ლარით და შეადგენს 30 881,4 მლნ ლარს.

სამინისტროების მიხედვით გათვალისწინებულია :

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებები განისაზღვრა 9 668,6 მლნ ლარით, რაც პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 47,9 მლნ ლარით, ხოლო 2025 წლის დამტკიცებულ გეგმას 848,6 მლნ ლარით აღემატება. ასიგნებების ფარგლებში გათვალისწინებულია:

- ✓ **მოსახლეობის სოციალური დაცვა** - 6 931,4 მლნ ლარი, რაც 2025 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 577,9 მლნ ლარით. მათ შორის:

- საპენსიო უზრუნველყოფა - 5 015,0 მლნ ლარი (2025 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 517,0 მლნ ლარით), რაც გამოწვეულია, მათ შორის, საპენსიო ასაკის მოსახლეობისათვის „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო პენსიის ზრდის ინდექსაციის წესის შესაბამისად, ეკონომიკურ პარამეტრებზე დაყრდნობით პენსიის გადაანგარიშებით.

აღნიშნული კანონის მიხედვით **70 წლამდე პირთა პენსია** უნდა გაიზარდოს ბოლო 12 თვის ინფლაციის საშუალო მაჩვენებლის, მაგრამ არანაკლებ 20 ლარის ოდენობით. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ სექტემბერში გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით ბოლო 12 თვის საშუალო ინფლაცია შეადგენს 2,6%-ს. აღნიშნული მაჩვენებლით პენსიის ზრდა 20 ლარზე ნაკლებია ($350 \cdot 2,6\% = 9,1$), რისი გათვალისწინებითაც კანონის შესაბამისად განსაზღვრულია პენსიის ზრდა 20 ლარის ოდენობით და 2026 წლის იანვრიდან განისაზღვრება 370 ლარით.

ამავე კანონის მიხედვით, **70 წლის და მეტი ასაკის პირთათვის** პენსია უნდა გაიზარდოს ბოლო 12 თვის საშუალო ინფლაციის და ბოლო 6 კვარტლის მშპ-ს რეალური ზრდის მაჩვენებლის საშუალო არითმეტიკულის 80%-ის ჯამით. გასული წლის 4 კვარტალში და მიმდინარე წლის 2 კვარტალში მშპ-ს რეალური ზრდის მონაცემებია:

- ✓ 2024წ. I კვარტალი - 8,7%;
- ✓ 2024წ. II კვარტალი - 9,7%;
- ✓ 2024წ. III კვარტალი - 11,0%;
- ✓ 2024წ. IV კვარტალი - 8,3%;
- ✓ 2025წ. I კვარტალი - 9,8%;
- ✓ 2025წ. II კვარტალი - 7,1%.

აღნიშნული მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკული შეადგენს 9,1%-ს, ხოლო მისი 80% - 7,3%-ს. შესაბამისად პენსიის მოცულობა უნდა გაიზარდოს 2,6%+7.3%-ით. აღნიშნული ფორმულით პენსიის ზრდა შეადგენს 44,6 ლარს ($450 \times 9,9\% = 44,6$). კანონის შესაბამისად ხორციელდება აღნიშნული თანხის დამრგვალება და პენსიის ზრდა განსაზღვრულია 45 ლარით, რისი გათვალისწინებითაც მისი მოცულობა 2026 წლის იანვრიდან განისაზღვრება 495 ლარის ოდენობით.

მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები პენსიონერებისთვის კანონით განსაზღვრული 20 პროცენტის დანამატების გათვალისწინებით, 70 წლამდე პირთა პენსია იქნება 444 ლარი, ხოლო 70 წლის და მეტი ასაკის პირთა პენსია 594 ლარი.

პენსიის ზრდის შესაბამისად იზრდება სახელმწიფო კომპენსაციების მიმღებ პირთა კომპენსაციები, რომელთა კომპენსაციის დაანგარიშება დაკავშირებულია სახელმწიფო პენსიის ოდენობაზე (და არ აჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს).

- მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება - 1 641,5 მლნ ლარი; აღნიშნული თანხის ფარგლებში, კანონმდებლობის შესაბამისად გათვალისწინებულია მკვეთრად გამოხატული და 18 წლამდე შშმ პირების სოციალური გასაცემლის ზრდა 45 ლარით, ხოლო დანარჩენი კატეგორიის შშმ პირთა გასაცემლის ზრდა 20 ლარით. ასევე, გათვალისწინებულია 120 ათას სოციალურ სარეიტინგო ქულამდე მყოფი ოჯახების 16 წლამდე ბავშვების ყოველთვიური 200 ლარიანი დახმარების დაფინანსება;
- სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში - 134,5 მლნ ლარი. პენსიის ზრდის შესაბამისად იზრდება საპენსიო დანამატის მოცულობაც;
- სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის დაფინანსება, საქართველოს პარლამენტში ბიუჯეტის განხილვების დროს გამოთქმული წინადადებების შესაბამისად იზრდება დამატებით 12,5 მლნ ლარით და შეადგენს 124,5 მლნ ლარს.
- ✓ **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა** - 2 219,9 მლნ ლარი, მათ შორის საყოველთაო ჯანდაცვის დაფინანსება შეადგენს 1 500,0 მლნ ლარს, რაც პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით 150,0 მლნ ლარით იზრდება. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია პირველადი ჯანდაცვის პერსონალის ხელფასების ზრდა.
- ✓ **სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა** - 80,0 მლნ ლარი.
- ✓ **შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა** - 21,6 მლნ ლარი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, პროექტის წინა ვერსიით გათვალისწინებული იყო საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ასიგნებები. აღნიშნულ ქვეპროგრამას მიმდინარე წელს შეუსრულდა 4-წლიანი ციკლი, რაც თავდაპირველად იყო დაგეგმილი. ამავდროულად, ბოლო წლების მაღალი ეკონომიკური

ზრდის პარალელურად ფიქსირდება სამუშაო ძალის დეფიციტი შრომის ბაზარზე. შესაბამისად მიზანშეწონილად ჩაითვალა მომდევნო პერიოდში აღარ გაგრძელდეს პროგრამა არსებული სტრუქტურით და მის ბენეფიციარებს სხვადასხვა გადამზადების პროგრამებით ხელი შეეწყოს კერძო სექტორში დასაქმების მიმართულებით.

- ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა - 263,7 მლნ ლარი.

განათლების, მეცნიერების ა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსება განისაზღვრა 2 702,2 მლნ ლარით, რაც პროექტის წინა ვერსიით განსაზღვრულ თანხას 89,6 მლნ ლარით აღემატება. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2025 წლის პირველი სექტემბრიდან გაუქმდა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომლის ფუნქციებიც გადანაწილდა საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროზე, შესაბამისად 2025 წელს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსათვის გათვალისწინებული პროგრამების დაფინანსება 2026 წელს გათვალისწინებულია ზემოაღნიშნულ სამინისტროებში. ჯამურად, აღნიშნული პროგრამების ჩათვლით განათლებისა, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის პროგრამებისათვის განკუთვნილი თანხები 2026 წელს შეადგენს 3 344,2 მლნ ლარს, რაც პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 115,4 მლნ ლარით.

სამინისტროს ფარგლებში გათვალისწინებულია:

- ✓ სკოლამდელი და ზოგადი განათლება - 1 923,0 მლნ ლარი, რაც პროექტის წინა ვერსიით განსაზღვრულ თანხას 37,1 მლნ ლარით აჭარბებს. გაზრდილი დაფინანსების ფარგლებში, საპარლამენტო განხილვების დროს დაყენებული წინადადებების შესაბამისად გათვალისწინებულია საჯარო სკოლების ადმინისტრაციული პერსონალის, სკოლის ექთნების და მანდატურების ხელფასების 20%-იანი ზრდა, ნაცვლად მანამდე განსაზღვრული 10%-ისა;
- ✓ პროფესიული განათლება - 229,3 მლნ ლარი (გაზრდილია 14,4 მლნ ლარით);
- ✓ უმაღლესი განათლება - 196,0 მლნ ლარი (გაზრდილია 4,0 მლნ ლარით);
- ✓ მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა - 90,4 მლნ ლარი;
- ✓ ინკლუზიური განათლება - 101,3 მლნ ლარი (გაზრდილია 8,5 მლნ ლარით);
- ✓ ახალგაზრდობის მხარდაჭერა - 21,5 მლნ ლარი (გაზრდილია 5,9 მლნ ლარით).

კულტურის სამინისტროს დაფინანსება პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით გაიზარდა 42,3 მლნ ლარით და განისაზღვრა 364,8 მლნ ლარით, საიდანაც თანხები ძირითადად მიიმართება შემდეგი პროგრამების განხორციელებაზე:

- ✓ სახელოვნებო სფეროში უმაღლესი განათლება - 23,8 მლნ ლარი (გაზრდილია 0,6 მლნ ლარით);
- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება - 40,0 მლნ ლარი;
- ✓ სახელოვნებო დაწესებულებების ხელშეწყობა - 8,6 მლნ ლარი (გაზრდილია 0,3 მლნ ლარით);
- ✓ კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 188,2 მლნ ლარი (გაზრდილია 32,1 მლნ ლარით);
- ✓ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა - 90,6 მლნ ლარი (გაზრდილია 7,5 მლნ ლარით).

სპორტის სამინისტროს დაფინანსება ზე დამატებით გამოყოფილია 29,9 მლნ ლარი და 325,3 მლნ ლარს შეადგენს, საიდანაც თანხები ძირითადად მიიმართება შემდეგი პროგრამების განხორციელებაზე:

- ✓ მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია - 259,6 მლნ ლარი (გაზრდილია 28,7 მლნ ლარით);
- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება - 10,0 მლნ ლარი;
- ✓ სასპორტო დაწესებულებების ხელშეწყობა - 6,4 მლნ ლარი;
- ✓ სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები - 42,0 მლნ ლარი.

ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება განისაზღვრა 3 113,7 მლნ ლარით, რაც პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 16,8 მლნ ლარით. ძირითადი პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

- ✓ **საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები** - 1 538,8 მლნ ლარი, რაც პროექტის წინა ვერსიით განსაზღვრულ თანხას 123,5 მლნ ლარით აღემატება. პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია შემდეგი ცვლილებები:
 - შიდა სახელმწიფოებრივი გზების მშენებლობა-რეაბილიტაციისა და მათი მოვლა-შენახვისთვის გამოყოფილი ასიგნებები გაზრდილია 65,0 მლნ ლარით და 765,7 მლნ ლარს შეადგენს;
 - ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობის ნაწილში დამატებით გათვალისწინებულია თბილისის შემოვლითი საავტომობილო გზის წინამური-ზაკვისი-აეროპორტის კვანძის მონაკვეთის მშენებლობის დაწყება, რისთვისაც გათვალისწინებულია 180,0 მლნ ლარი;
 - ამავდროულად პროექტი 2026 წელს აღარ ითვალისწინებს თბილისი-წითელი ხიდისა და ალგეთი სადახლოს გზების მშენებლობისთვის თანხების გამოყოფას (წინა ვერსიაში გათვალისწინებული იყო 119,0 მლნ ლარი). აღნიშნული პროექტები ხორციელდება ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით. სატენდერო პროცედურების დასრულება დაგეგმილი იყო მიმდინარე წელს, თუმცა ბანკის მიერ არ დასრულებულა შიდა განხილვის პროცედურები. ბანკთან არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა აღნიშნული პროგრამისთვის თანხების შემცირება არამხოლოდ 2025 წელს, არამედ 2026 წელსაც (პროექტების დაწყება პროგნოზირებულია 2027 წლიდან). ბანკის მიერ შიდა განხილვების პროგნოზირებულთან შედარებით უფრო სწრაფად დასრულების შემთხვევაში, პროექტის განხორციელება დაიწყება საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად დაზუსტებული ბიუჯეტის ფარგლებში.
- ✓ **რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია** - 237,6 მლნ ლარი (გაზრდილია 53,4 მლნ ლარით);
- ✓ **წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია** - 304,7 მლნ ლარი. პროექტის წინა ვერსიაში აღნიშნული პროგრამისათვის გამოყოფილი იყო 514,7 მლნ ლარი. იმის გათვალისწინებით, რომ 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტთან ერთად პარლამენტში წარმოდგენილია ცვლილებები 2025 წლის ბიუჯეტში, რომლის მიხედვითაც მომდევნო წელს დაგეგმილი პროექტების და არსებული ვალდებულებების დასაფინანსებლად, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას დამატებით გამოეყოფა 400,0 მლნ ლარი, 2026 წლის ასიგნებების მოცულობა შემცირებულია 210,0 მლნ ლარით;
- ✓ **საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია** ისთვის გამოყოფილი თანხა იზრდება 44,5 მლნ ლარით და 667,0 მლნ ლარს შეადგენს. პროგრამის ფარგლებში:

- საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციებისთვის გამოყოფილი თანხები, წლის განმავლობაში მოსალოდნელი ათვისების გათვალისწინებით განისაზღვრება 387,0 მლნ ლარის ოდენობით;
- დაგეგმილია განათლების რეფორმის ფარგლებში, თბილისსა და ქუთაისში საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რომლისთვისაც საჭირო შესყიდვების დასაწყებად გამოყოფილია 150,0 მლნ ლარი;
- საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებულია 130,0 მლნ ლარი;
- ✓ ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები - 150,0 მლნ ლარი;
- ✓ სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია - 205,0 მლნ ლარი.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 808,2 მლნ ლარს. გამოყოფილი თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- ✓ სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა - 108,1 მლნ ლარი, რაც პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 31,0 მლნ ლარით. დამატებითი თანხებიდან 10,0 მლნ ლარი მიიმართება ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების ზრდაზე, 20,0 მლნ ლარი მიიმართება შინაურ ბინადარ ცხოველთა პოპულაციის მართვის დაფინანსებაზე, ხოლო 1,0 მლნ ლარი სააგენტოს თანამშრომელთა ხელფასების ნაწილობრივ მოწესრიგებაზე;
- ✓ მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაზე დამატებით გამოიყოფა 20,0 მლნ ლარი და პროგრამის დაფინანსება შეადგენს 103,3 მლნ ლარს;
- ✓ ერთიანი აგროპროექტის დაფინანსებაზე გამოყოფილია 318,0 მლნ ლარი;
- ✓ სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციისთვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 54,0 მლნ ლარს. პროექტის წინა ვერსიაში სამელიორაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციისა და მისი მოვლა-შენახვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 90,0 მლნ ლარი, თუმცა დაგეგმილი პროექტების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, სამინისტროსთან კონსულტაციით დამატებით მოხდა 20,0 მლნ ლარის გათვალისწინება. შესაბამისად 2025 წელს აღნიშნული პროგრამისთვის დამატებით გამოიყოფა 110,0 მლნ ლარი (რაც მოხმარდება მომდევნო წელს დაგეგმილი პროექტების განხორციელებას), ხოლო 2026 წლის პირველად პროექტში გათვალისწინებული თანხა მცირდება 90,0 მლნ ლარით;
- ✓ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის მიმართულებაზე დამატებით გამოიყოფა 6,0 მლნ ლარი და შეადგენს 40,0 მლნ ლარს. დამატებითი თანხები მოხმარდება დასაქმებულთა ხელფასების ზრდას და სამსახურის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას;
- ✓ დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბების და მართვის ნაწილში ბიუჯეტი იზრდება 1,1 მლნ ლარით და განისაზღვრება 29,0 მლნ ლარით (დამატებითი თანხები მიიმართება სააგენტოს თანამშრომელთა ხელფასების ზრდის დასაფინანსებლად);
- ✓ სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა - 21,7 მლნ ლარი;
- ✓ გარემოს დაცვის სფეროში პროგნოზირების, შეფასების, პრევენციისა და მონიტორინგის დაფინანსება გაზრდილია 3,5 მლნ ლარით (ძირითადად სააგენტოს გაზრდილი თანამშრომელების ხელფასების დასაფინანსებლად) და შეადგენს 34,7 მლნ ლარს;
- ✓ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა, დარიშხანშემცველი ნარჩენების ობიექტების მართვა - 4,4 მლნ ლარამდე;
- ✓ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა - 8,8 მლნ ლარი;

- ✓ მყარი ნარჩენების მართვა - 26,0 მლნ ლარი. ისევე როგორც სამელიორაციო სისტემების ნაწილში, მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას მიმდინარე წელს დამატებით გამოეყოფა 40,0 მლნ ლარი, რომელიც მიიმართება მომდევნო წელს არსებული ვალდებულებების დაფინანსებაზე, რისი გათვალისწინებითაც პროგრამის დაფინანსება მომდევნო წელს მცირდება 30,0 მლნ ლარით.

რეგიონული განვითარების სამინისტროსთვის გამოყოფილია 132,9 მლნ ლარი, მათ შორის გათვალისწინებულია:

- ✓ საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტირება 70,0 მლნ ლარი (გაზრდილია 12 მლნ ლარით, რომელიც მიიმართება ქ. თბილისის სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირებისთვის);
- ✓ სკოლების მცირე რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა - 43,0 მლნ ლარი;
- ✓ ზამთრის პერიოდში გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების ხელშეწყობის ღონისძიებები - 4 მლნ ლარი. ამასთან, ბიუჯეტის წინა ვერსიაში აღნიშნული ღონისძიების დასაფინანსებლად 3,7 მლნ ლარი გათვალისწინებული იყო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მოსახლეობის ელექტროენერჯითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებების ფარგლებში, რომელსაც 2026 წლიდან განახორციელებს რეგიონული განვითარების სამინისტრო.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის გათვალისწინებულია 928,6 მლნ ლარი. გამოყოფილი თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- ✓ მეწარმეობის განვითარება - 232,7 მლნ ლარი;
- ✓ ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა - 65,1 მლნ ლარი. ბიუჯეტის წინა ვერსიასთან შედარებით დაფინანსება გაზრდილია 16 მლნ ლარით, მათ შორის. სსიპ - კურორტების განვითარების სააგენტოს და სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის შერწყმიდან გამომდინარე დამატება 6,0 მლნ ლარი, ხოლო დამატებითი ტურისტული კომპანიებისთვის გამოიყო 10,0 მლნ ლარი;
- ✓ საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება - 156,4 მლნ ლარი, რაც წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 10,5 მლნ ლარით;
- ✓ ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება - 27 მლნ ლარი, რაც წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 7 მლნ ლარით, რომელიც გათვალისწინებულია რკინიგზის სამგზავროს ნაწილის სუბსიდირებისთვის;
- ✓ ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 222,0 მლნ ლარი, მათ შორის 25,0 მლნ ლარი გათვალისწინებულია შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისთვის საჭირო გეოლოგიური კვლევებისთვის;
- ✓ ენერჯის დამაგროვებელი მოწყობილობის პროექტი (ADB) – 2026 წელს პროგნოზირებული ათვისების გათვალისწინებით შემცირებულია 85,0 მლნ ლარით და განისაზღვრა 35,0 მლნ ლარით;
- ✓ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტისთვის საჭირო წყლის ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის გათვალისწინებული ასიგნება გასულ და მიმდინარე წელს გამოყოფილი სახსრებისა და 2026 წელს არსებული საჭიროების გათვალისწინებით, ბიუჯეტის პროექტის პირველად ვარიანტთან შედარებით მცირდება 100,0 მლნ ლარით და განისაზღვრება 50,0 მლნ ლარის ოდენობით.

ამასთან, პროექტის წინა ვერსიაში ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის მშენებლობისთვის გათვალისწინებული იყო 60,0 მლნ ლარი, თუმცა დაგეგმილი პროექტების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, სამინისტროსთან კონსულტაციით აღნიშნული თანხა დამატებით გამოიყოფა 2025 წელს და პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 110,0 მლნ ლარით, ხოლო 2026 წლის ბიუჯეტის პროექტში თანხა გათვალისწინებული არ არის.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 130,0 მლნ ლარს.

იუსტიციის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 443,2 მლნ ლარი.

საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 225,0 მლნ ლარი. სამინისტროს დაფინანსება გაზრდილია 5 მლნ ლარით.

თავდაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 1 890,0 მლნ ლარი, რაც წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 90 მლნ ლარით. სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში თავდაცვის ინფრასტრუქტურისა და მისი შესაძლებლობების განვითარებისათვის გათვალისწინებულია სულ 495,0 მლნ ლარი; გამოყოფილი თანხის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია ჯარისკაცების ხელფასის 10%-იანი ზრდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 1 547,0 მლნ ლარი, რაც ბიუჯეტის წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 74 მლნ ლარით, რაც გამოწვეულია ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებით. აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია პოლიციელთა ხელფასების 10%-იანი ზრდა.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის გათვალისწინებულია 380,0 მლნ ლარი, რაც წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 115 მლნ ლარით, რომელიც მიმართული იქნება სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისთვის გათვალისწინებულია 126,5 მლნ ლარი, რაც პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 6,0 მლნ ლარით. დამატებითი თანხა ძირითადად ხმარდება წვევამდელი მოსამსახურეების ჩანაცვლებას საშტატო პერსონალით.

საქართველოს პროკურატურისთვის გათვალისწინებულია 98,7 მლნ ლარი. დაფინანსება გაზრდილია 3,2 მლნ ლარით.

სასამართლო სისტემისთვის გამოყოფილი დაფინანსება გაზრდილია 21,0 მლნ ლარით და გათვალისწინებულია ჯამში 223,5 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ საკონსტიტუციო სასამართლო - 7,9 მლნ ლარი;
- ✓ უზენაესი სასამართლო - 22,3 მლნ ლარი;
- ✓ საერთო სასამართლოები - 180,3 მლნ ლარი (დაფინანსება გაზრდილია 20,3 მლნ ლარით);
- ✓ იუსტიციის უმაღლესი საბჭო - 13,0 მლნ ლარი.

იურიდიული დახმარების სამსახურისთვის გათვალისწინებულია 18,0 მლნ ლარი, რაც წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 2,5 მლნ ლარით.

სახალხო დამცველის აპარატისთვის გათვალისწინებულია 11,2 მლნ ლარი.

საქართველოს პარლამენტი ს დაფინანსება შეადგენს 91,5 მლნ ლარს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის გათვალისწინებულია 40,7 მლნ ლარი. ბიუჯეტის წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 14,5 მლნ ლარით, რაც გამოწვეულია სსიპ - ანტიკორუფციული ბიუროს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ლიკვიდაციიდან გამომდინარე, აღნიშნული სამსახურების ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების დაფინანსების საჭიროებით, ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლების ანაზღაურების 10%-ით გაზრდით. შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის დაფინანსება შეადგენს 2,7 მლნ ლარს (წინა ვერსიასთან შედარებით შემცირებულია 6,3 მლნ ლარით), ხოლო სსიპ - ანტიკორუფციული ბიუროს ასიგნება შეადგენს 4,3 მლნ ლარს (წინა ვერსიასთან შედარებით შემცირებულია 8,9 მლნ ლარით).

ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაფინანსება შეადგენს 46,2 მლნ ლარს, რაც ბიუჯეტის წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 2,5 მლნ ლარით ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანამშრომლების ანაზღაურების 10%-ით გაზრდის მიზნით.

მთავრობის ადმინისტრაციის დაფინანსება შეადგენს 30,0 მლნ ლარს.

პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის გათვალისწინებულია 10,5 მლნ ლარი.

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისთვის გათვალისწინებულია 24,8 მლნ ლარი, რაც წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 1,3 მლნ ლარით.

სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციების დაფინანსება ჯამში შეადგენს 12,3 მლნ ლარს.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით დარეგულირდა ყოველწლიურად კანონით განსაზღვრული საბაზო თანამდებობრივი სარგოს გაანგარიშების წესი. კერძოდ, 2026 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტში საბაზო თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება, როგორც საქართველოს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული საბაზო თანამდებობრივი სარგო, გაზრდილი არანაკლებ ბოლო 4 კვარტალში საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებში „დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საკუთრების ფორმების მიხედვით“ არასახელმწიფო სექტორში დაფიქსირებული ნომინალური ხელფასის წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდის საშუალო პროცენტული მაჩვენებლით. აღნიშნული კანონის შესაბამისად გაზრდილია საბაზო თანამდებობრივი სარგო და შეადგენს 1 600 ლარს, რის შედეგადაც 10%-მდე იზრდება საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასები.

მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებების მოცულობა

/ათასი ლარი/				
კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი	სხვაობა
00 00	სულ ჯამი	27 941 729.4	30 881 358.0	2 939 628.6
01 00	საქართველოს პარლამენტი	92 956.5	91 544.0	-1 412.5
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	10 000.0	10 500.0	500.0
03 00	სსიპ - საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკისა და ჰერალდიკის დეპარტამენტი	745.0	930.0	185.0
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	29 000.0	30 000.0	1 000.0
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	25 279.0	40 690.0	15 411.0
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	129 118.0	46 240.0	-82 878.0
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	6 800.0	7 860.0	1 060.0
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	20 800.0	22 300.0	1 500.0
09 00	საერთო სასამართლოები	164 500.0	180 290.0	15 790.0
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	12 600.0	13 000.0	400.0
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხორიწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1 450.0	1 500.0	50.0
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1 220.0	1 300.0	80.0

კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი	სხვაობა
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1 450.0	1 500.0	50.0
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1 250.0	1 400.0	150.0
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1 180.0	1 275.0	95.0
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1 235.0	1 320.0	85.0
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1 120.0	1 200.0	80.0
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1 550.0	1 600.0	50.0
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1 150.0	1 220.0	70.0
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	251 500.0	380 000.0	128 500.0
21 00	საქართველოს პროკურატურა	70 750.0	98 700.0	27 950.0
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	4 700.0	5 200.0	500.0
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	121 000.0	130 000.0	9 000.0
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	947 009.0	928 550.0	-18 459.0
25 00	საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო	3 125 000.0	3 113 650.0	-11 350.0
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	442 000.0	443 235.0	1 235.0
27 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	8 820 000.0	9 668 640.0	848 640.0
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	215 000.0	225 000.0	10 000.0
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1 730 000.0	1 890 000.0	160 000.0
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	1 395 000.0	1 547 000.0	152 000.0
31 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	808 100.0	808 161.0	61.0
32 00	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	3 082 510.0	2 702 198.0	-380 312.0
33 00	საქართველოს კულტურის სამინისტრო	316 266.3	364 835.0	48 568.7
34 00	საქართველოს სპორტის სამინისტრო	298 350.5	325 310.0	26 959.5

კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი	სხვაობა
35 00	საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო	0.0	132 900.0	132 900.0
36 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	14 800.0	18 000.0	3 200.0
37 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	21 500.0	24 800.0	3 300.0
38 00	სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	5 000.0	7 100.0	2 100.0
39 00	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური	9 000.0	2 740.0	-6 260.0
40 00	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	110 000.0	126 500.0	16 500.0
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	10 300.0	11 150.0	850.0
42 00	სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებელი	101 190.0	101 190.0	0.0
43 00	სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო	6 500.0	7 000.0	500.0
44 00	სსიპ - ანტიკორუფციული ბიურო	13 200.0	4 300.0	-8 900.0
45 00	საქართველოს საპატრიარქო	25 000.0	25 000.0	0.0
46 00	სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	18 000.0	21 000.0	3 000.0
47 00	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი	28 000.0	19 000.0	-9 000.0
48 00	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	5 800.0	6 700.0	900.0
49 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	2 300.0	2 450.0	150.0
50 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	7 600.0	7 700.0	100.0
51 00	სსიპ - სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტო	0.0	1 650.0	1 650.0
52 00	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	1 150.0	1 200.0	50.0
53 00	სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო	700.0	700.0	0.0
54 00	საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	5 400 250.0	7 274 130.0	1 873 880.0
55 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	950.0	0.0	-950.0
56 00	ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	3 100.0	0.0	-3 100.0
57 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	2 700.0	0.0	-2 700.0
58 00	სპეციალური საგამოძიებო სამსახური	19 000.0	0.0	-19 000.0
59 00	ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი	5 100.0	0.0	-5 100.0

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მთლიანი მოცულობა შეადგენს 7 274,1 მლნ ლარს, მათ შორის:

- ✓ საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 3 643,0 მლნ ლარი, მათ შორის 1 350,0 ლარი გათვალისწინებულია 2021 წელს გამოშვებული ევროობლიგაციების დაფარვისათვის;
- ✓ საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა -1 090,0 მლნ ლარი;
- ✓ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი - 90,0 მლნ ლარი;
- ✓ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი - 20,0 მლნ ლარი;

- ✓ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი - 760,0 მლნ ლარი;
- ✓ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი - 20,0 მლნ ლარი;
- ✓ დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება - 540,0 მლნ ლარი;
- ✓ საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის დანერგვის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტებში - 20,0 მლნ ლარი;
- ✓ სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერა - 2,0 მლნ ლარი;
- ✓ დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებისთვის გათვალისწინებულია 331,2 მლნ ლარი;
- ✓ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები - 742,0 მლნ ლარი, რაც ბიუჯეტის წინა ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 72 მლნ ლარით, მათ შორის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გათვალისწინებული ტრანსფერი გაიზარდა 50,0 მლნ ლარით და შეადგინა 630,0 მლნ ლარი. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისთვის გათვალისწინებულია - 22,0 მლნ ლარი, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტების სპეციალური და მიზნობრივი ტრანსფერები - 90,0 მლნ ლარი.

მუნიციპალიტეტების მიერ დღგ-ის სახით მისაღები შემოსავლები პროგნოზირებულია 2 186,0 მლნ ლარის (ჯამური დღგ-ის 20%) ოდენობით და ნაწილდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) პროგნოზის განაწილების შედეგად მუნიციპალიტეტების მიერ მისაღები შემოსავლების განაწილება:

მუნიციპალიტეტების დასახელება	დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილება 2026 წელი	
	დღგ-ის 20%-ის განაწილება	დღგ-ის საორიენტაციო მოცულობა
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	30.76%	672 413.6
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	3.59%	78 477.4
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	1.80%	39 348.0
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	1.28%	27 980.8
ქედის მუნიციპალიტეტი	0.94%	20 548.4
შუახევის მუნიციპალიტეტი	0.81%	17 706.6
ხულოს მუნიციპალიტეტი	0.86%	18 799.6
ახმეტის მუნიციპალიტეტი	1.09%	23 827.4
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	1.35%	29 511.0
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	0.69%	15 083.4
თელავის მუნიციპალიტეტი	1.42%	31 041.2
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	1.04%	22 734.4
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	1.42%	31 041.2
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	0.82%	17 925.2
ყვარელის მუნიციპალიტეტი	0.75%	16 395.0
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	3.48%	76 072.8
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	1.17%	25 576.2
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	0.52%	11 367.2
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	1.34%	29 292.4
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	0.56%	12 241.6
ვანის მუნიციპალიტეტი	0.58%	12 678.8
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	1.34%	29 292.4
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	0.81%	17 706.6
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	1.11%	24 264.6
საჩხერის მუნიციპალიტეტი	1.21%	26 450.6
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	0.54%	11 804.4
ხონის მუნიციპალიტეტი	0.56%	12 241.6
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	0.86%	18 799.6
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	2.42%	52 901.2
აბაშის მუნიციპალიტეტი	0.51%	11 148.6

მუნიციპალიტეტების დასახელება	დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილება 2026 წელი	
	დღგ-ის 20%-ის განაწილება	დღგ-ის საორიენტაციო მოცულობა
მარტვილის მუნიციპალიტეტი	0.81%	17 706.6
მესტიის მუნიციპალიტეტი	0.80%	17 488.0
სენაკის მუნიციპალიტეტი	0.92%	20 111.2
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	0.55%	12 023.0
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	0.63%	13 771.8
ხოზის მუნიციპალიტეტი	0.74%	16 176.4
გორის მუნიციპალიტეტი	3.45%	75 417.0
კასპის მუნიციპალიტეტი	1.11%	24 264.6
ქარელის მუნიციპალიტეტი	1.06%	23 171.6
ხაშურის მუნიციპალიტეტი	1.33%	29 073.8
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	2.98%	65 142.8
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	0.86%	18 799.6
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	0.86%	18 799.6
დმანისის მუნიციპალიტეტი	1.02%	22 297.2
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	0.81%	17 706.6
მარნეულის მუნიციპალიტეტი	2.60%	56 836.0
წალკის მუნიციპალიტეტი	0.86%	18 799.6
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	0.74%	16 176.4
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	1.45%	31 697.0
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	0.53%	11 585.8
ადიგენის მუნიციპალიტეტი	0.78%	17 050.8
ასპინძის მუნიციპალიტეტი	0.61%	13 334.6
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	0.86%	18 799.6
ახალციხის მუნიციპალიტეტი	1.34%	29 292.4
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	0.86%	18 799.6
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	0.86%	18 799.6
დუშეთის მუნიციპალიტეტი	1.07%	23 390.2
თიანეთის მუნიციპალიტეტი	0.56%	12 241.6
მცხეთის მუნიციპალიტეტი	0.92%	20 111.2
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	0.35%	7 651.0
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	0.65%	14 209.0
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	0.38%	8 306.8
ონის მუნიციპალიტეტი	0.45%	9 837.0
ცაგერის მუნიციპალიტეტი	0.57%	12 460.2
სულ ჯამი	100.00%	2 186 000.0

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 4 207,5 მლნ ლარი;
- თავდაცვა - 1 986,3 მლნ ლარი;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 2 706,6 მლნ ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა - 3 527,7 მლნ ლარი;
- გარემოს დაცვა - 201,2 მლნ ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 149,7 მლნ ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა - 2 400,7 მლნ ლარი;
- დასვენება, კულტურა და რელიგია - 732,1 მლნ ლარი;
- განათლება - 3 540,0 მლნ ლარი;
- სოციალური დაცვა - 7 859,8 მლნ ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტს თან ახლავს დანართი „საქართველოს პარლამენტის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ“.

გარდა ამისა, 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თან ახლავს:

- 2026-2029 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი;
- 2026-2029 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები (საბაზო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები);
- მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზი;
- პროგრამული ბიუჯეტის დანართი;
- კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
- ცენტრალური ბიუჯეტის დანართი;
- ფისკალური რისკების ანალიზი;
- ვალის მდგრადობის ანალიზი;
- მთავრობის ვალის შესახებ ინფორმაცია;
- საგადასახადო დანახარჯების შეფასების ანგარიში;
- საშუალოვადიანი პროგნოზების შედარება და ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ფისკალურ წესებთან შესაბამისობა.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი შეესაბამება საქართველოს მთავრობის სამთავრობო პროგრამას და „ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია“-ს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ამოქმედება გათვალისწინებულია 2026 წლის 1 იანვრიდან, რაც დაკავშირებულია ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებასთან. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ასეთი არ არსებობს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი სამი წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ან/და მუნიციპალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ან/და მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონის პროექტი ვრცელდება 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ბენეფიციარებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

ბ¹) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტი არ ანიჭებს ან ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

ბ²) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი აერთიანებს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტების და მხარჯავი დაწესებულებების (მათ შორის, შესაბამისი დარგობრივი სამინისტროების) მიერ დაგეგმილი პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელ პროგრამებს და განსაზღვრავს მათი დაფინანსების მოცულობებს, შესაბამისად, წარმოდგენილი კანონის პროექტი არ ითვალისწინებს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობის ზეგავლენის შეფასებას. თითოეული მიმართულებით დაგეგმილი პოლიტიკის ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობის ზეგავლენა ფასდება ინდივიდუალურად.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან :

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალ თან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან :

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივი ხელშეკრულებებს. აგრეთვე, კანონპროექტი არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან :

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები :

და.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია /დაწესებულება , ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში , ასეთის არსებობის შემთხვევაში :

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადებისათვის გამოყენებული ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები შესაბამისობაშია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროგნოზებთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის /დაწესებულების , სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში :

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას , ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში :

ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი :

საქართველოს მთავრობა.